№ 53
პარასკევი, 10 მარტი 1895

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 53
პარასკევი, 10 მარტი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**მღვდელი ტატიანე ეგნატეს ძე მიქაძე და შვილი მისი ივანე** უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა და მეორე დედისა თვისისა **დესპინე ზურაბის ასულის მიქაძისას** და სთხოვენ მობრძანდნენ წირვის მოსასმენად მაცხოვრის ეკკლესიაში სოფელს ქოლობანს, ქუთაისის მაზრაში, თერთმეტს ამა მარტის თვისას, დილის 10 საათზედ, სადაც ერთად შევევედრებით ღმერთს მისის სულის ცხოვნებისათვის.
(1—1091—1)

**სალომე პეტრეს ასული ყიფიანისა, გიორგი და პეტრე ყიფიანები და პელაგია ყიფიანის ასული** გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა: პირველი მეუღლისა თვისისა და მეორენი მამისა **იოსებ ყიფიანისა,** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ სოფ. ყიფიანთ-უბანს დაკრძალვაზედ დასასწრებად პარასკევს, 10 მარტს.

## „ივერია“

გამოვა 1895 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტფილისი,**
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ვიჩინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ტფილისი, 10 მარტი.

ხშირად შეჰხვდება კაცი ქართულს ჟურნალ-გაზეთებში იმისთანა წერილს, რომელიც ამა თუ იმ ღონისძიებას ურჩევს ჩვენის საზოგადოებრივი ცხოვრების გამოსაფხიზლებად. არა ერთხელ დაწერილა თვით პროექტიც, რომლის მიღება სიკეთეს უქადდა ჩვენს სამშობლოს,—მაგრამ ყველა ეს დაწერილი დაწერილადვე დარჩენილა, რადგან მისი ამსრულებელი არ აღმოჩენილა.

ძნელია მდგომარეობა იმ ჟურნალ-გაზეთებისა, რომელთა ხმა მუდამ რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ამნაირი მდგომარეობა საქმისა ჯერ ერთი, რომ ხალისს, ენერგიას უკარგავს მწერალსა და მეორე, ამაზედ უარესი ის არის კიდევ, რომ თვით საქმე უძრავად რჩება, ერის ცხოვრებას წარმატება არ ეტყობა. ახლა, როდესაც თითქმის მთელმა ქვეყანამ შეიტყო ის აზრი, რომ მხოლოდ პროგრესი ასულდგმულებს სახელმწიფოებს, როდესაც სახელმწიფონი და საზოგადოებანიც ერთმანეთს ექიშპებიან—არავის ჩამოვურჩეთო,—ვაი იმ ერს, საზოგადოებას, რომელიც თავისის წარმატებისათვის არ ჰფიქრობს. ამნაირი ერის დღე დათვლილია, იმას ყველა მოერევა, რადგან ასეთი ერი მოკლებულია ბრძოლისთვის გამოსადეგს იარაღს: წარმატების სურვილს.

რა კი ასეა საქმე, ამიტომაც სახელმწიფოები იმას სცდილობენ, გაიადვილონ როგორმე განვითარება და წინსვლა. სწორედ ამიტომ ავალებს აწინდელი განათლებული სახელმწიფო ყოველს ადამიანს, მამულიშვილს სამშობლოსთვის ზრუნვას, სამშობლო საქმეებში მინაწილეობის მიღებას. ამ გზას ადგია თითქმის ყოველი სახელმწიფო. ინგლისს ავიღებთ თუ საფრანგეთს, რუსეთს თუ გერმანიას, ავსტრიას თუ იაპონიას, ყველგან სახელმწიფოთა მმართველებს კერძო ადამიანებისთვისაც დაუტოვებიათ ცალკე ასპარეზი, რომელზედაც შეუძლიანთ მათ სამშობლო ინტერესებისათვის მოღვაწეობა.

სახელმწიფო ტვირთი იმდენად მძიმეა, რომ მისს გაადვილებას ყოველი მმართველობა სცდილობდა და სცდილობს. და ეს გაადვილება ტვირთისა იმით მიაღწიეს, რომ კერძო ადამიანებსაც მიანდეს ზოგიერთი სახელმწიფო საქმე: ამითი აიხსნება, სხვათა შორის, რომ რუსეთში 60-წლებში ერობა შემოიღეს.

მაგრამ მარტო რომელისამე დაწესებულების შემოღებით როდი კეთდება საქმე. შეიძლება კარგი დაწესებულებაც დაარსდეს სადმე. მაგრამ საერთო საქმეს ამითი არა ეშველოს-რა: დაწესებულებას აღმასრულებელიც უნდა, საკმაოდ გამსჭვალული საგნის ინტერესების სიყვარულითა, გულმოდგინე და ერთ გვარის კავშირით დახლოვებული, რომელსაც ორგანიზაცია და წინადვე განზრახულის პროგრამით მოქმედება ჰქვია.

ეს ორგანიზაცია და პროგრამით მოქმედება იმდენად საჭიროა და აუცილებელია, რომ ძნელად მოიპოვება ამ ჟამად სახელმწიფო, სადაც საზოგადოებას ან ერთი და ან მეორე აკლდეს. ყველგან, დაწესებულებასთან ერთად პროგრამით მოქმედება და ორგანიზაციაც შემოღებული აქვთ... ყველგან—ჩვენს გარდა.

იქნება ზოგიერთმა გაიკვირვოს და სთქვას: „ჩვენ რაღა მოსაყვანი ვიყავით იქ, სადაც ევროპის სახელმწიფონი იყვნენ ჩამოთვლილნი; ჩვენ სადა გვაქვს ესა-და-ეს დაწესებულებაო და სხვა“?

ნუ ვილაპარაკებთ იმაზედ, რაც არა გვაქვს, მოვიგონოთ მხოლოდ ის, რაცა გვაქვს. ავიღოთ სათავად-აზნაურო საბანკო და სხვადა-სხვა ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი: დრამატიული, წერა-კითხვისა, დახმარებისა და ს ვა...

ვინ იტყვის, რომ ზემომოხსენებული დაწესებულებანი ასპარეზად არა ვარგოდეს ქართველის კაცისათვის — ქვეყნის სასიკეთოდ სამოქმედოდ. მაგრამ რა გამოდის ამ მოქმედებით?—არაფერი, ან ძალიან ცოტა.

ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენში არ გამოსულიყვნენ საზოგადო მოღვაწენი, რომ ჩვენ არა გვყავდეს ისეთი მოღვაწენი, რომელთა მოქმედება სასიკეთოდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია.

როდესაც საზოგადოდ გვაქვს ბაასი, მაშინ კერძო კაცები სათვალავში მოსაყვანი არ არიან. საზოგადო საქმეს—თვით საზოგადოება უნდა ჰმართავდეს, და აი ეს მმართველი საზოგადოება გვაკლია ჩვენ. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ ჩვენში მოიპოვება ყოველივე, რაც-კი ამნაირის საზოგადოების შედგენას გააადვილებს და ჩვენ-კი საქმეს ვაგვიანებთ. საზოგადო საქმისათვის მზრუნველთა რიცხვი, ღვთით, არც ისე ცოტაა ჩვენში, როგორც ზოგს ჰგონია.

მაშ რაღა გვაყოვნებს, მაშ რადღა მიდის უხეიროდ ჩვენი საზოგადო საქმეები?! წინანდელთან შედარებით დღეს როგორიმე დაწესებულებანი მაინცა გვაქვს, ხალხიც გვყავს, მაშ რა გვიფერხებს საქმეს? —ორგანიზაციისა და პროგრამით მოქმედების უქონლობა ჩვენის აზრით, ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისი, რომ ჩვენში არსებულთ საზოგადო დაწესებულებათ ის ნაყოფი არ მოაქვს, რის მოტანაც შეუძლიანთ.

თუ საქმე კვლავაც ასე ვმართეთ, თუ ჩვენმა ინტელიგენციამ არ მოიფიქრა პროგრამის შემუშავება და ორგანიზაციის შემოღება—ტყუილად ნუ გვექნება იმედი გასული საზოგადო დაწესებულებებისა.

ნუ დავივიწყებთ, რომ ქვეყნის წარმატებისათვის ყველგან დაწესებულება და პროგრამით მოქმედება ერთმანეთისთვის შეუთანასწორებიათ. უეჭველია, ჩვენშიაც ასე უნდა მოვიქცეთ; თუ საქართველოს წარმატება გვინდა და თუ ეს წარმატება მართლა არსებით საგნად მიგვაჩნია.

—ლი—გ.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 9 მარტს, ქალაქის გამგეობას ნება-რთვა მოუვიდა სომეხ-

## ფელეტონი

**უფროსის მებაღის ნაამბობი.**

(თარგმანი)

გრაფის № ბაღიდგან ყვავილებსა ვყიდდით: მე, ჩემი მეზობელი და ერთი ახალგაზდა კაცი. მანამდის მუშებს გამოჰქონდათ ჩვენგან ნაყიდი ყვავილები, ჩვენ კარებთან ვისხედით და ვბაასობდით. არაფერი სჯობია აპრილის დილას, მეტადრე მაშინ, როცა ფრინველები გალობენ და ყვავილებს მზის სხივები ელერსებიან.

ყვავილებს ალაგებინებდა უფროსი მებაღე მიხეილ კარლიჩი. ეს ჭკვიანი, გულ-კეთილი და ყველასაგან პატივცემული კაცი, გაჩუმებული ყურს უგდებდა ჩვენს ლაპარაკს. მიხეილი ნასწავლი კაცი იყო—იცოდა რუსული, გერმანული და ინგლისური ენა და ამ ენებზედ ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული. როგორც სხვა მრავალი კაცი, მიხეილ კარლიჩიც არ იყო უნაკლულო—წინააღმდეგობას ვერ იტანდა.

— აბა, შეჰხედეთ იმ კაცს, რომელიც ქუჩაში მიდის,—სთქვა ერთმა ჩვენთაგანმა, ერთი კვირა არ არის, რომ გამოუშვეს საპყრობილიდგან. მსაჯულებს მაგისი ავაზაკობა ავადმყოფობით აუხსნიათ, თუმცა მე დიდად ვიჭვობ. ჩემის აზრით, ამ უკანასკნელს ხანებში ავაზაკობა და ძარცვა გლეჯა იმიტომ გახშირდა, რომ მსაჯულები ადვილად ამართლებენ დამნაშავეებს და ამ გვარი გამართლება კარგს არას მოასწავებს; იგი აჩლუნგებს ხალხში სამართლიანობის გრძნობას, ცუდად ჰმოქმედებს საზოგადოებაზედ და ამიტომ ჩვენს დროზედ ადვილად შეიძლება ითქვას შექსპირის სიტყვები: „ჩვენს ბოროტს და გარყვნილს საუკუნეში სათნოებამაც კი თავი უნდა მოიხაროს ბიწიერების წინაშეო“.

— მართალსა ბრძანებთ, მართალსა,—სთქვა ჩემმა მეზობელმა,—რაც უფრო ადვილად ამართლებენ ავაზაკებს, მით უფრო გახშირდა ქურდობა და კაცის კვლა. თუ ჩემი არა გჯერათ, დაბალს ხალხს დაეკითხეთ.

ამ დროს მიხეილი მოგვიბრუნდა და გვითხრა: „მე-კი სულ სხვანაირად ვუყურებ მაგ საგანს. ყოველი გამართლება დამნაშავისა ჩემს გულში სიამოვნებასა ჰბადავს და არა შიშს. ნუთუ ყველა მოსაზრებაზედ მაღლა არ უნდა დავაყენოთ ის გარემოება, როცა მსაჯული საკუთარს რწმენასა და სინიდისს უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე საბუთებს, მოწმების ჩვენებას, ვექილების მჭევრ-მეტყველობას და სხ.?! ამ რწმენით გამსჭვალულია მარტო ის, ვისაც სწამს და ესმის ქრისტეს მოძღვრება.

— თქვენი აზრი მოსაწონია, მაგრამ იმასაც-კი მოგახსენებთ, რომ ახალი არ არის. ამ საგანზედ ერთი ლეგენდაც გამიგონია.

— დიაღ, დიაღ, სთქვა მებაღემ—ბებიაჩემიდგან ბევრჯელ მსმენია ეგ ლეგენდა გერმანულს ენაზედ.

ბევრის ხვეწნის შემდეგ მიხეილმა დაიწყო:

— ერთს პატარა ქალაქში დასახლდა მარტოდ მარტო ერთი მოხუცებული. გვარი ამ კაცისა ნამდვილად არ ვიცი, ტომსონი იყო თუ ვილსონი; მაგრამ ეს საჭიროც არ არის. ეს კაცი ექიმი იყო; მუდამ მდუმარებდა და თუ ხმას ამოიღებდა, მარტო იმისთვის, რომ ავადმყოფისათვის რამე ეკითხა. არავისთან დადიოდა, ხმას არავის სცემდა და განდეგილსავით ყველაზედ მოშორებით დაბინავდა. მთელს დღეს წიგნების კითხვით ატარებდა და, რაღა თქმა უნდა, უბრალო მუსაიფისთვის დრო აღარა ჰრჩებოდა. ხალხს ეს კარგად ესმოდა და ამიტომ მეტი ლაპარაკით არ აწუხებდა, წინააღმდეგ, ყველა ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ექიმად ასეთი კაცი მოუვლინა. „ჩვენმა ექიმმა ყველაფერი იცისო, ამბობდა ხალხი და ყველა ისე უყვარს, თითქოს ყველა იმისი შვილი ყოფილიყოს და ის ყველას მამა.

თითონ ჭლექით იყო ავად, მაგრამ შეუძლებელი იყო ავადმყოფისთვის უარი ეთქვა, თუმცა ყოველი ნახვა ავადმყოფისა ძვირად უჯდებოდა, რადგან სიარულის გამო იღლებოდა და სისხლს აღებინებდა ხოლმე. ერთის სიტყვით, თავისის მახლობელის გულისათვის არაფერს ერიდებოდა—არ ეშინოდა არც სიცხისა და არც სიცივისა, არც შიმშილისა და არც წყურვილისა. ფულს არავის ართმევ-

თა საეპარქიო მთავრობისაგან, რომ განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის გვამი ვანქის ტაძრის გალავანში იქნას დაკრძალული.

*** გუშინდელს გაზ. „კავკაზში“ და აგრეთვე ჩვენს გაზეთშიაც ნათქვამი იყო, ვითომ კანონით ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვის გარდაცვალების შემდეგ მომავალ არჩევნებამდე ქალაქის მოურავის თანამდებობა ქალაქის გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა უნდა აღასრულოსო. როგორც ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, ეს ამბავი ტყუილი ყოფილა. კანონით, დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს ახალის ქალაქის მოურავის არჩევანი და აწინდელს აღმსრულებელს ქალაქის მოურავის თანამდებობისას, ა. ა. ივანენკოს, დაჰკრძალავენ-რა განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის გვამს, განზრახვა აქვს საბჭოს ერთ-ერთს უმახლობელესს სხდომაზედ წინადადება შეიტანოს, რომ ვადა იქმნას დანიშნული ახალის ქალაქის მოურავის არჩევანებისათვის.

*** 7 თებერვალს შეერთებულს კრებულს ქალაქის გამგეობისასა და იმ კომისიისას, რომელსაც მინდობილი აქვს პატივი-სცეს განსვენებულის ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვის ხსოვნას, კრება ჰქონდა მიცვალებულის გვამის დაკრძალვის შესახებ და დაადგინა:

1. ქალაქის თვით-მმართველობის მხრივ განსვენებულის კუბოზედ დადგმული იყოს ვერცხლის გვირგვინი შემდეგის წარწერით: „ქალაქ ტფილისისაგან ქალაქის მოურავს პავლე ალექსანდრეს ძეს იზმაილოვს“. 2. ეუწყოს სახელოსნო სასწავლებლის სალმრთო სჯულის მასწავლებელს, რომ სახელოსნო სასწავლებლებისა და ქალაქის სხვა სასწავლებლების მოსწავლეებს ნება არ მიეცემათ სიტყვა წარმოსთქვან განსვენებულის დასაფლავებაზედ. 3. ქალაქის გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკი დოლგორუკოვსა და ხმოსნებს ა. იოანესიანსა და'ოპოჩინინს მიენდოს გასინჯვა იმ სიტყვებისა, რომელიც სამარეზედ უნდა იქმნენ წარმოთქმულნი. 4. განსვენებულის ცხედარს რკინის გზის სადგურზედ დაუხვდნენ სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლენი და მასწავლებელთა კრებული, ხოლო საქალაქო სასწავლებლების მოსწავლენი-კი—ერევნის მოედანზედ.

*** გუშინ, 9 მარტს, მთავარ-მართებლის საბჭოს ხიზნების ახალი დებულება უნდა გაერჩია. იმ მოხსენებაში, რომელიც ამ საგანზედ არის შედგენილი, სხვათა შორის, არის ნათქვამი, როგორ უნდა დააკმაყოფილონ ხიზნები, როდესაც საბატონო მამულიდგან დათხოვნილ იქნებიან. („ტფ. ფურც.“)

*** კორიშის დრამატიული დასი, როგორც ჩვენ შევიტყეთ, დიდმარხვის მეექვსე კვირაში ჩამოვა ტფილსს და წარმოდგენების გამართვას დაიწყებს აღდგომის მესამე დღიდგან.

*** განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის გვამის მოსვენებას ორშაბათს, 13 მარტს, ელიან ბათუმში, ხოლო ტფილისში ჩამოსვენებას ოთხშაბათს.

*** სამშაბათს, 7 მარტს, ქალაქის გამგეობისა და საბჭოს კომისიის სხდომა მოხდა, რომელზედაც განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის პატივსაცემლად სხვა დადგენილებათა შორის, რომლებიც მკითხველებმა უკვე უწყიან, შემდეგი დაადგინა კიდევ: 1. ქალაქის საზოგადო სამმართველოს სახელით ვერცხლის გვირგვინი დაადგან განსვენებულის კუბოს; 2. გამოითხოვონ ნება, რომ დასაფლავების დღეს ქალაქის გამგეობისა და საბჭოს შენობის შესავალი კარებები და აგრეთვე ქალაქის სახლის აივანი შავებით იქმნას შემოსილი; 3. ითხოვონ ნება, რომ დასაფლავების დღეს ამქრები თავ-თავიანთის ბაირაღებით გაჰყვნენ მიცვალებულს; 4. დაევალოს ქალაქის გამგეობას, რომ თავისის წარმომადგენლე?ით განსვენებულის გვამს მცხეთაში დაუხვდეს, ამასთანავე გამგეობის ერთი მოხელე ბათუმში გაიგზავნოს გვამის მისაღებად; ხოლო საბჭოს კომისია და ხმოსნები ტფილისში დაუხვდნენ, ვოკზალზედ, და 5. შესდგეს გეგმა, როგორ და რა გზით იქნას მიცვალებული შემოსვენებული ქალაქში ერევნის მოედნამდე და აქედგან ვანქის ტაძრამდე.

*** სამუსიკო კრუჟოკის გალობის მოყვარულთა ხორო ამზადებს ორს ოპერას „კარმენსა“ და „აიდას“. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას ზოგიერთი არტისტებიც მიიღებენ. წარმოდგენის შემოსავალი „კრუჟოკის მსახურთა სასარგებლოდ არის დანიშნული, რადგანაც კრუჟოკმა ვალები ვერ გადასწყვიტა და ამ მოკლე ხანში დაიხურება.

*** აქამდის ტრავერსებს გორში გაუგზავნიდნენ ხოლმე წამლითა, ეხლა-კი ეს საქმე ამიერ რკინის გზის მმართველობას ბაქოში გადააქვს; საიდაც ტრავერსებს ამიერიდგან რუსეთიდგან მიიღებენ.

*** ქუთაისის გუბერნიის მარშლის თხოვნით, რაც კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის არხივებში სათავადაზნაურო სიგელები იყო ქუთაისის გუბერნიის მარშლს გაეგზავნა.

*** ქუთაისის საოლქო სასამართლოში 6 მარტს გაირჩა საქმე თავ. ნიკ. ნიკ. წულუკიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ხონის ნაწილის ბოქაულის ტატიშვილის სიტყვითა და საქმით შეურაცხყოფა და აგრეთვე ის, ვითომ თავ. წულუკიძეს ტატიშვილის მოკვლა სდომნებოდეს.

ხანგრძლივის რჩევის შემდეგ სასამართლომ შემდეგი განაჩენი დაადგინა, რომლითაც თავ. წულუკიძე დამნაშავედ იქმნა ცნობილი შეურაცხყოფისათვის და სამის თვით ციხე მიუსაჯა, მაგრამ განთავისუფლებულ იქმნა მანიფესტის ძალით; ხოლო ბოქაულის ტატიშვილის მოკვლის განზრახვისათვის სასამართლომ ჩამოართვა თავადს წულუკიძეს ყოველგვარი განსაკუთრებული უფლება და უპირატესობა და ციმბირის შორეულს ადგილებში გაგზავნა მიუსაჯა.

*** სამტრედია: გუშინ-წინ, 8 მარტს, აქაურს სადგურზედ ორი სამუშაო მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა და რამდენიმე ვაგონი დაიმტვრა.

*** 7-ს მარტს „ივერია“-ში დასტამბული იყო ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მორიგის კრებისა, რომელიც 5 მარტს შესდგა.

ამ ანგარიშის შესავსებლად და გასასწორებლად ჩვენს მკითხველებს ვაუწყებთ შემდეგს:

1, საპატიო საზოგადოების წევრებად ერთხმად იქმნენ არჩეულნი: კნ. ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა და ბ. გ. ქართველიშვილი.

2, ნამდვილ წევრებად: დ. დ. ლორთქიფანიძე, პ. კოზირია, ი. ზ. ოდიშელიძე, მღ. ს. იმნაიშვილი, კ. დ. ბაქრაძე, ი. ნ. ნიჟარაძე, ვერა დ. ქართველიშვილისა, თ. ნ. ბ. ერისთავი, მ. ე. ხელაძე, ნ. ა. ისარლოვი, ირ. გუნცაძე, ი. ნ. მაჭავარიანი და გ. დ. ქურული.

3, ბ. პეტრე ყიფიანმა გამგეობის წევრობაზედ უარი განაცხადა.

4, გამგეობის წევრთა შორის უნდა იქნას მოხსენებული ივ. რატიშვილი.

5, გამგეობის წევრების კანდიდატებად: პავლე ყიფიანი, ალ. გარსევანიშვილი და ირ. გუნცაძე.

და 6, ბ. გ. ქართველიშვილმა შესწირა საზოგადოებას 600 ცალი სურათებიანი „ვეფხის ტყაოსანი“ და რამდენიმე ასი ცალი ისტორია მეფე ვახუშტისა, იმ პირობით რომ ნახევარი ფასი გასყიდულისა უნდა გარდაეცეს მას, ქართველიშვილს.

## შეცდომის გასწორება.

„ივერიის“ გასართობში, რვა ამა მარტს, მოხსენებული იყო, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მდივანს დ. კარიპაშვილს მიჰმართა პავლე დემუროვმა და სხვ... „ამ უკანასკნელის გვარი და სახელი სრულიად შეცდომით იყო მოხსენებული და ის, ვინც აღნიშნულის თხოვნით მიჰმართა ბ. კარიპაშვილს, სულ სხვა სახელსა და გვარს ატარებს თურმე,

## კორესპონდენცია.

**სოფ. ველის-ციხე,** 4 მარტი. წარსულის წლის გაზეთ „ივერიის“ უკანასკნელს ნომრებში ამოკითხული მა ამბავმა, რომ დუშეთის მაზრაში გზაზედ მუშაობის დროს იპოვნეს რამდენიმე შესანიშნავი ძველი ნივთი და პატივცემულმა მაზრის უფროსმა ეს ნივთები „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წარმოუგზავნაო; მეც მომაგონა ის ნივთები, რომელნიც საუფლისწულო მამულში იპოვნეს ამ რამდენისამე წლის წინად.

მუკუზნის ფოსტის სადგურის მახლობლად, დასავლეთის მხრით, საუფლისწულო ტყიან ადგილის გაკაფვის დროს შიგ შუაგულს აღმოჩნდა ძველი პატარა ეკკლესია. წარმოიდგინეთ, ხალხმა არც-კი იცოდა ამ ტაძრის არსებობა. სივრცით პატარა, მაგრამ ხნით-კი უძველესი ეკკლესია, თვალსაჩინო ისტორიული ნაშთი უნდა ყოფილიყო ჩვენის ხალხის ცხოვრებისა.

ნახეს მუშებმა ეს ტაძარი თუ არა, მაშინვე აცნობეს უფროსს ზედამხედველს ეკკლესიის აღმოჩენა. ეს უკანასკნელიც მოვიდა თურმე ეკკლესიის სანახავად, ბევრი უარა გარშემო, ათვალიერა კიდეც შიგნით თუ გარედგან, მაგრამ რადგანაც საყურადღებო (!) ვერ აღმოაჩინა-რა, ამისათვის უბრძანა მუშებს დაენგრიათ ეკკლესია საძირკვლიანად.

ხსენებულ ეკკლესიის დაქცევას რამდენიმე მუშა კაცი ათი დღე მეტი მოუნდნენ და რა დაიწყეს საძირკვლის სრულიად დაქცევა, მხოლოდ მაშინ იპოვნეს საძირკვლის ბოლოში ერთი ასე ხუთ ჩაფიანი ქოცო; მუშებმა დიდის სიხარულით აჰხადეს სარქველი ქოცოს და მათდა განსაცვიფრებლად ქოცოში აღმოჩნდა მარტო ერთი თავსახურიანი დიდი თიხის ჯამი, რომელსაც სახურავი ზედ დაკრული ჰქონდა. ბოლოს სახურავის ახდისა ჯამში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: ერთი ოქროს დიდი სამაჯური, ერთი ოქროს დიდი ბეჭედი ფირუზის თვლით და ერთიც ამგვარივე პატარა ბეჭედი ფირუზისავე თვლით. ეს ნივთები მუშებმა წარუდგინეს მაშინდელს საუფლისწულო მამულების მმართველს ბ. ბაგაუტს.

ამ გვარი ნაშთები, უუძველესის დროისა, დღესაც მრავალია კახეთის მივარდნილს ალაგებში,ხალხმა არც-კი იცის მისი არსებობა იყვნენ. შევიწროებულნი სხვა-და-სხვა მტერთაგან და იმასაც გავიხსენებ, რომ ხშირად, ძლიერაც ხშირად, მთელი კახეთი იძულებული ხდებოდა ხოლმე მთაში, მიუდგომელს ტყეში და ხევებში გახიზნულიყო, დროებით იქ დაეწყო ცხოვრება, ვიდრე მტერს ასე თუ ისე მოიშორებდნენ თავიდგან. მაშინ ადვილი წარმოსადგენიცაა, რომ მრავალი ძვირფასი ნაშთი უნდა მოიპოვებოდეს ყველა იმ ადგილებში, სადაც ხალხი თავს იფარავდა...

ვინ არ იცის, რომ იმ დროს თვით ქვეყნის დიდებულნიც-კი ხალხთან ერთად იხიზნებოდნენ და თუ მოეპოვებოდათ რამ თვალსაჩინო ნივთები, ისე რიგად ჰმალავდნენ. რომ მონახვა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. კარგს ინებებდა „წერა-კითხვის საზოგადოება, შეჰკითხებოდა საუფლისწულო მამულების მმართველს, რომ ხსენებული ნივთები წარმოუგზავნოს საზოგადოებას, თუ სამუდამოდ არა დროებით მაინც, არხეოლოგიურის ნაშთების მცოდნეთა გასასინჯავად. იმედია, მმართველი საუფლის...

---

და.სუყლ ველაზედ საკვირველი უფროის იყო, რომ როცა ავადმყოფი მოუკვდებოდა ხოლმე, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მდიდარი თუ ღარიბი, უთუოდ საფლავამდის მიაცილებდა მიცვალებულს და მის ნათესავებთან ერთად გლოვობდა. ახლო-მახლო სოფლებში არ იყო იმისთანა კაცი, რომელიც ექიმს არ იცნობდა. ისეთი კაცი არ იყო ქალაქში, რომელსაც როდისმე აზრად მოჰსვლოდეს ექიმის გაკიცხვა, ან შეურაცხყოფა. როცა სახლიდგან მიდიოდა სადმე, კარს არა ჰკეტავდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ არავინ გაჰქურდავდა. ხშირად ექიმს იმისთანა გზებზედ მოუხდებოდა სიარული, საცა ავაზაკები ბუდობდნენ და კაცის კვლაც ხდებოდა, მაგრამ არც ეს აშინებდა. ერთხელ თურმე, ძალიან გვიან ავადმყოფიდგან სახლში მოდიოდა. გზაზედ რამდენიმე კაცი დაჰხვდა და მოკვლას უპირებდნენ. მაგრამ, როცა იცნეს, იმის გარდა, რომ ბოდიში მოიხადეს, პური და ღ.ზილი ჩასაცმელი შესთავაზეს და დიდად კმაყოფილნი დარჩნენ, რომ ექიმმა მიიღო. ბებია ჩემი იტყოდა ხოლმე, რომ ძროხებმა და ძაღლებმაც-კი იცოდნენ, ვინ იყო ექიმი და როცა გზაზედ დაინახავდნენ, სახეზედ სიხარული დაეტყობოდათ ხოლმეო. ის კაცი, რომლის კეთილის მყოფელად თვით ავაზაკები ითვლებოდნენ და რომელიც წმიდა ცხოვრებას ყოველის ბოროტისაგან უნდა დაეფარა, ერთს დილას თავ-გატეხილი და მოკლული ნახეს. მოკლულის სახე გაკვირვების გამომეტყველი იყო. დიაღ, შეშინეული სახე-კი არა ჰქონდა, გაკვირვებული, —უთუოდ გაოცდა, როცა მკვლელი დაინახა.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ შეწუხდა მთელი ხალხი! მწუხარებას დაჰრთოდა გაკვირვება—ვერ გაეგოთ ამ მკვლელობის მიზეზი. როცა გამომძიებელმა ექიმის გვამი გასინჯა, თუმცა დარწმუნდა, რომ მოკლული იყო, მაგრამ მაინც კიდევ სთქვა: „არა მგონია „ჩვენს შორის იმისთანა ვინმე იყოს, რომელსაც შესძლებოდეს ექიმის მოკვლა. ის უფრო დასაჯერებელია, რომ ბნელაში წაიქცა და სასიკვდილოდ გაიტეხა თავი.“ თითქოს ხალხიც დაეთანხმა გამომძიებლის აზრს ექიმის სიკვდილის მიზეზის შესახებ. პატარა ხანს უკან ამ საგანზედ ლაპარაკი მიჩუმდა და თითქოს ყველა დარწმუნდა, რომ ექიმი ავის კაცისაგან არ იყო მოკლული.

რამდენიმე ხნის შემდეგ მკვლელი დაიჭირეს... დუქანში ერთი ყმაწვილი კაცი ნახეს, რომელსაც ექიმის საათი ჰქონდა; როცა ეს შენიშნეს და გამოჰკითხეს ის თუ, საიდგან ჩაუვარდა საათი ხელში, ისეთი დაბნეული პასუხი მისცა გამომძიებელს, რომ ალარავისა ჰქონდა ეჭვი, რომ ეს კაცი ექიმის მკვლელია. პატარა ხანს უკან საქმეც გაირჩა და, წარმოიდგინეთ, დამნაშავე გაამართლეს. საქმის გარჩევა დილით დაიწყო და საღამოზედ ძლივს გათავდა. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ მსაჯულებს ჯერ უკანასკნელი კითხვა უნდა მიეცათ ბრალდებულისათვის და მერე სასჯელი უნდა დაედგინათ. ბრალდებული უარს-ჩყოფდა, რომ დამნაშავე არა ვარო!

მსაჯულები სათათბიროდ წავიდნენ და პატარა ხანს უკან ბრალდებულს გასამართლებელი ოქმი წაუკითხეს...

მსაჯულები თავისს დადგენილებას ასე ა'აბუთებდნენ. შეუძლებელია, კაცი ისე დაეცეს ზნეობით, რომ იმისთანა კაცს მოუსპოს სიცოცხლე, როგორიც ექიმი იყოო.

ხალხში ერთს არ აუმაღლებია უკმაყოფილების ხმა. პირიქით ყველა სიამოვნებით მიეგება განჩინებას.

ღმერთმა-კი—ამბობდა ხოლმე ბებია ჩემი, ჩვენის ქალაქის მცხოვრებლებს ყველა ცოდვები შეუნდოს, მისთვის რომ ასეთი დიდი რწმენა გამოიჩინა ადამიანისა; მაგრამ იგი მოხარულია, როცა კაცს, მის მზგავსებას, რწმენით და ნდობით უყურებენ და სწუხს მაშინ, როცა ივიწყებენ კაცის ღირსებას და მას უარესად ჰსჯიან ვიდრე ძაღლს.

შეიძლება გასამართლებელმა ოქმმა ქალაქის მცხოვრებლებს რაიმე ვნება მოუტანა, მაგრამ დიდადა ღირს ის დიდსულოვანება, რომელიც მაშინ გამოიჩინეს. ის ანვითარებს ჩვენში სულგრძელობის გრძნობას, კაცის სიყვარულსა და პატივის ცემას. და ეს ხომ დიდი რამ არის.

მიხეილ კარლიჩმა გაათავა. ჩემს მეზობელს წინააღმდეგის თქმა უნდოდა, მაგრამ უფროსმა მეზალემ ხელი დაიქნია იმის ნიშნად, რომ მას არ უყვარს წინააღმდეგობა. მერე მივიდა იქ, საცა ყვავილებს ალაგებდნენ და ყვავილების ჩალაგებას დაუწყო ყურება.

ს. შ.

წულო მამულისა უარს არ იტყვის და ამ მცირე თხოვნას დააკმაყოფილებს.

ნიკო ველისციხელი.

—

**სამურზაყანო.** ეკონომიურად გაუმჯობესებას დიდი ხანია შესდგომია უცხოეთის ერი. ვეცხლის მოყვარულმა ევროპიელმა თუ სადმე დაჰსუნა ფულის ნაკვალევი, ჯოჯოხეთამდის ჩაჰყვება. ჩვენში-კი ფულის შოვნა სულ ადვილი საქმეა. სახლის კარებიდგან გამოსვლასაც არ კადრულობენ ჩვენი ფულიანი ვაჟბატონები, რომ თავიანთ ქონების თანხა უფრო გააძლიერონ; ან რისთვის შეიწუხებენ თავს, რადგანაც ორასის მანეთის პატრონს კაცსაც ადვილად შეუძლიან ერთის წლის განმავლობაში ორასი სხვა მოიგოს და კარგი მოზრდილი მამულიც ჩაიგდოს ხელში, ნეუსტოიკების წყალობით, როგორც ეს კარგა ხანია სწარმოებს ჩვენს ქვეყანაში. სამურზაყანო-აფხაზეთში და განსაკუთრებით ოქუმში ფულის სესხად აღებას აქაური მკვიდრი შეჩვეული არ იყო, მაგრამ აქაც ფეხი გაიდგა ამ არსებობისათვის ბრძოლამ. აი, ეს გარემოება აიძულებს უფულო კაცს, სულთა-მხუთავ მოვახშესთან მიიქცეს ფულის სასესხებლად. მოვახშენიც ჰხედავენ მათს გაჭირვებას და ტყავს აძრობენ. ოქუმის საზოგადოებას ადვილად შეუძლიან იხსნას ამ გაჭირვებისაგან თავი, რადგანაც ბანკისა და დეპოს დასაარსებელი ფული ხელში აქვთ, მაგრამ ვის შესტკივა გული ამნაირ კეთილ საქმისათვის? ვისი ბრალია?! რასაკვირველია, ჩვენის ზნეობრივად დაცემის.

ჩვენმა ხალხმა აქამდის არც-კი იცოდა, თუ რას ერქვა „დაწოსი"; ხოლო ამ საზიზღარმა და ადამიანის პატიოსნების გამათახსირებელმა მოქმედებამ, ლამის არ ის ჩვენშიაც იპოვოს ფართე სარბიელი. ჯერ ერთი თვე არ გასულა და ორი უშველებელი „დაწოსი" ზედი-ზედ დაგვახალეს. ორივე დაბეზღება აქაურის სკოლის მასწავლებელთ შეეხება. მასწავლებელი ქალი ამ სკოლისა, ქ-ნი ჩ—ლი მეტის-მეტი ნაგინებია თურმე დასმენის ქაღალდში, ხოლო მასწავლებელ კ—სათვის ყალბი ქაღალდი შეუდგენია ვიღასაც და მისს სახელზედ გაუგზავნია სკოლის მთავრობასთან შემდეგის შინაარსის დეპეშა: სამსახური არ მინდა, ადგილიდგან დამითხოვეთო. ყალბი დეპეშა ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას ნამდვილი ჰგონებია. მართლაც, მასწავლებელს ადგილიდგან დათხოვნის ქაღალდი მოუვიდა და ახალი მასწავლებელიც დანიშნეს, მაგრამ ეს უკანასკნელი კ—მა სკოლაში არ შეუშვა. ორივე საქმის გამო გამოძიება სწარმოებს.

ყველა, რაც მოგახსენეთ, სრული ჭეშმარიტებაა. არც ჩვენის ეკლესიის უნუგეშო მდგომარეობაა სიმართლეს მოკლებული. ამ ორის წლის უკან განვიზრახეთ ახალის ქვის ეკკლესიის აშენება ოქუმში. ეკლესიის მუშაობა პირველად მარჯვედ მიდიოდა, მაგრამ რა გაიგეს გლეხებმა, თავადები შემწეობას არ აძლევენ ეკკლესიასაო, იმათაც გარდასწყვიტეს, დღეის შემდეგ კაპეიკსაც არ გადვიხდით ეკკლესიისათვისაო. ამ სტრიქონების დამწერმა, როგორც წევრმა ჩვენის ეკკლესიის ამშენებელ კომიტეტისამ, ამას წინად მივმართე ერთს შეძლებულს თავადიშვილს, ფული გამოეღო ეკკლესიის გასაკეთებლად და აი რა სანუგეშო პასუხი მივიღე: თუ გინდა ხუთს შაურს გაჩუქებო. დროა ჩვენმა თ—მაც ხელი გამოიღონ და გლეხებთან ერთად სწიონ ქვეყნის საჭიროების უღელი სკოლა-ეკკლესიის საქმეში მაინც.

გლეხს ფულს განა მარილი აქვს? არა, დამიჯერეთ; მაშ, თუ ეს მართალი არ არის, რამდენი ხანია ჩვენში კომლზედ ცხრა-ცხრა მანეთი მობოჭეს გზის გასაკეთებლად, მაგრამ გათავებას არა ეშველა-რა. ხრეში სანახევროდ არ არის მოყრილი გზებზედ. სწორედ სატირელია ჩვენი ტანჯვა-ვაების მოგონება მგზავრობის დროს.

ოქუმში აფთიაქის გაღებას ყველანი შევხაროდით, გვეგონა, ექიმიც გამოგვიჩნდებოდა, მაგრამ, დაჰხედეთ ბედის უკუღმა ტრიალს! დღემდის ერთი ფერშალი მაინც გვყვანდა, ისიც სხვაგან გადიყვანეს ეხლა და აღარც ფერშალი გვყავს და აღარც მისი თანაშემწე. ამბობენ, ფერშალის ადგილი სამურზაყანოში სრულიად მოისპოო. უპატრონოდ დარჩენილს ქვეყანაში გაუსვეს ხელი სოფლის მკითხავ-ექიმებმა, უწყალოდ ჰხოცვენ ავადმყოფებს და სამუდამოდ მოსვენების უკუნეთში ჰგზავნიან საცოდავებს...

უფრო საკვირველია ეს უკანასკნელი ამბავი; აგერ ხუთი წელიწადია, რაც მთავრობას ვსთხოვდით სამურზაყანოში საავადმყოფოს (пріемный покой) გახსნას, მაგრამ რა გგონიათ, შეიწყნარეს ჩვენი თხოვნა? თქვენც არ მომიკვდეთ. ახლა ხან გაზეთებმა გვაუწყეს „пріемный покой" იხსნება დრანდას, ნაოლაღევს და ბევრგან სხვა ადგილებშიო. სამურზაყანო-კი სულ დაჰვიწყებია მთავრობას. იყავ, საცოდავო ქვეყანავ, წყნარად! შენი არც ტირილი ესმის კაცს და აღარც სიცილი, თუმცაღა შენი მკვიდრი ორმოც-ათას სულამდე შესდგება...

ვანო ოქუმელი.

95 წ. 1 მარტი.
დ. ოქუმი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

გაზეთ „მოსკ. ვედ."-ში ვკითხულობთ: „კრაკოვიდგან 28 თებერვალს დეპეშით იუწყებიან, რომ სოფელ მუზეევის ახლო ორს კაცს და ერთს ქალს სამზღვარ-გარეთიდგან რუსეთში შემოპარვა ჰსურდათ, მაგრამ დარაჯებს შეუპყრიათ. აღმოჩნდა, რომ ქალი დატვირთული ყოფილა წიგნაკებით და რევოლუციურის შინაარსის პროკლამაციებით". შეპყრობილნი ვარშავის საპყრობილეში გაუგზავნიათ."

—

ეს რამდენიმე თვეა, პეტერბურგში სცდიან ახალს საშუალებას პროფესორის რუსა და ბერინგისას ხუნაგის წინააღმდეგ. ექიმები აცხადებენ, რომ ხუნაგისაგან სიკვდილმა ძალიან იკლოო: წინად ავადმყოფთა ნახევარი წილი კვდებოდაო, ახლა-კი მხოლოდ ასში შვიდიო.

—

გაზ. „მოსკ. ვედ." კვლავ იმ საბუთების ძებნაშია, რომელნიც მისის აზრით თვით-მმართველობის უვარგისობას ამტკიცებენ. თუმცა ხშირად მოყვანილი საბუთი სულ წინააღმდეგს უჩვენებს ხოლმე მოსკოველ გაზეთს, მაგრამ ეს გარემოება არ აფრთხობს კატკოვისეულს გაზეთს. რა თავი მოგაქვთო, უკიჟინებს გაზეთი, რუსეთის ლიბერალებს, სად არის ეგ თქვენგან ნაქები გონებითი ძალა, რომელიც ვითომ და ჩვენს პროვინციებში არის დაფანტულიო? აგერ 30 წელიწადია, რაც თვით-მმართველობაა შემოღებული პროვინციებში და ამ ხანში მომხდარი ამბები სულ იმას ამტკიცებენ, რომ პროვინცია გონებით დიდად დაქვეითებული არისო. თქვენგან ნაქებს პროვინციის ხალხის ძალას ვერც დამოუკიდებულობა და ვერც გამჭრიახობა ვერ გამოუჩენიაო. იგი მუდამ ისე ჰმოქმედებდა, როგორც დედა ქალაქების „ლიბერალები" ჩააგონებდნენო. ამ ჩაგონებით, აბა რა უნდა გამოსულიყო სასიკეთო. არაფერიო, აბოლოვებს გაზეთი და ამ აზრს ასაბუთებს იმ მოსაზრებით, რომ ეგ „ლიბერალებიც" არ ბრძანდებიან მაინც-დამაინც გონებით ძლიერნიო. ამ რიგად მოსკოველი გაზეთი უარს-ჰყოფს რუსის გონების ძალას როგორც ქალაქებში, ისე პროვინციებშიც; ეტყობა ეს ძალა მარტო „მოსკ. ვედ."-ს რედაქციაში ყოფილა.

## ნარკვევი

დღეს სუვორინი აღმოსავლეთის ომის შესახებ მუსაიფობს. თამამად შეგვიძლიან თქმა, რომ კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ხანა დგებაო. რა შედეგი მოჰყვება იაპონიის გამარჯვებას და ჩინეთის დამარცხებასაო? ეკითხება თავისს თავს „ნოვ. ვრემიას" პუბლიცისტი და განაგრძობს:

„ჩემის აზრით ამ გარემოებას დიდი შედეგი მოჰყვება: მოვიდა ახალი ერი, ახალი ქვეყანა, ერი სრულიად სხვა ტომისა. ამ ერმა გაიმარჯვა დღეს და საპატიო ადგილს თხოულობს მსოფლიო ერთა შორის. პირველის შეხედვით არავითარი ცვლილება არ მომხდარა ევროპაში, მაგრამ ნამდვილად ევროპა ჰგრძნობს, რომ რაღაც დიდად მნიშვნელოვანი საქმე ხდება. იაპონიის თითო ფეხის გადადგმაზედ ევროპა თან-და თან რწმუნდება, რომ ახალს ძალას დიდი ცვლილება მოსდევს თან, რომ ევროპის მომავალი ბედ-იღბალი ამ ახალის ძალის გავლენის ქვეშაც იქნება. ეს ახლად გამოსული ისტორიის სარბიელზედ ერი აღჭურვილია ევროპის ცოდნით და მეცნიერებით, ევროპის წეს-წყობილებით, ევროპის იარაღით. ეს ერი სრულიად სხვა შთამომავლობისაა, ვიდრე ევროპის ერნი. დღემდე იაპონელთ ყურადღების ღირსადაც არა სთვლიდნენ, მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადია, რომ იგი ისეთივე ერია, როგორც რომელიმე ევროპიელი, რომ მას შეუძლიან საშიშ მეტოქად შეიქმნეს ევროპისათვის."

შემდეგ სუვორინი ადარებს ორს ხანას ევროპის ისტორიისას: მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს, როდესაც ევროპაში საპატიო ადგილი დაიჭირა რუსეთმა და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, როდესაც ძლევა-მოსილი იაპონია იკავებს იმავე ადგილს. როგორც რუსეთს, ისე იაპონიას, წინად ევროპა არ აქცევდა ყურადღებას და მათ თითონ, ძალით გაიკაფეს თავისთვის ადგილი. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ იაპონია რუსეთზედ უფრო მომზადებული და განათლებული გამოვიდაო ისტორიულს სარბიელზედ და უფრო ჩქარის ნაბიჯით მიდის წარმატების გზაზეო. სუვორინი იმასაც აქცევს ყურადღებას, რომ იაპონია სარწმუნოებითაც განსხვავდება ევროპისაგან და ეს გარემოებაც საშიშად ხდისო ამ ერს ევროპისათვის, მაგრამ სუვორინს იაპონია რუსეთისთვის კიდევ უფრო საშიშრად მიაჩნია.

„ჩვენ გვეგონა, რომ აღმოსავლეთისაგან რუსეთს დაბრკოლება არ შეეხვდებოდა, მაგრამ ახლა გაიჩნდება მძლავრი მტერი. ყვითელი, დაბალის ტანისა, პირტიტველა, პატარა ხელ ფეხიანი იაპონელი თურმე დიდის ჭკუის, მეცადინეობისა და ანგარიშის კაცი ყოფილა! ევროპას თუ უხარიან დღეს ამ ერის აღორძინება, უხარიან მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთს მტერი გაუჩნდა.

ციმბირში რკინის გზის გაყვანა კარგი მოსაზრებაა, მაგრამ კაი ჩვენი ბრალი, რომ ეს გზა დაგვიანებული არისო".

უნდა ვსთქვათ, რომ რუსის პუბლიცისტის მწუხარება უსაბუთო და უადგილო არ არის ამ შემთხვევაში. მართლაც ციმბირი, ეს ვეებერთელა მხარე, რომელიც ევროპაზედ უფრო დიდია, თითქმის უპატრონოდ არის. ოთხი მილიონი ხალხი იქ მცხოვრები რა დაბრკოლებას აღმოუჩენენ 400—500 მილიონ მონგოლთ შთამომავლობის ერსა, რომელიც ევროპის კულტურას იძენს. ამ საუკუნეში დასავლეთის საზღვარზედ გერმანელთა სახელმწიფო ამოეჭიმა რუსეთს, ახლა აღმოსავლეთის საზღვარზედაც საშინელი ძალა შენდება.

## უცხოეთი

—

**ლონდონი.** ინგლისის საზოგადოება ამ ბოლოს დროს საკვირველს თანაგრძნობას უცხადებს იაპონიას და ყოველსავე, რაც-კი იაპონელია.

„ნოვ. ვრემიას" საგანგებო კორესპონდენტი ამბობს, რომ ზოგიერთის ინგლისის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწის აზრით, იმგვარადვე შეიძლება მართოს იაპონიამ ჩინეთი, როგორც ინგლისი განაგებს ინდოეთს, რადგან ორივე ეს ქვეყნები შემდგარი არის მრავალ სხვა-და-სხვა ერისაგან, რომელთაც მხოლოდ გარეშე ძალა აერთებს.

საზოგადოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ისეთს საფუძველზედ აშენებული მმართველობა მრავალის სხვა-და-სხვა ერთად შეკრებილის ერისა, რომელთაც მხოლოდ გარეშე ძალა აიძულებს ერთმანეთთან პოლიტიკურს ცხოვრებას, ვერაფრად არის საიმედო და იქნება XIX საუკუნის დასასრულამდე ამგვარი სახელმწიფოები ერთიანად დაინგრნენ და მათი დღევანდელი მოჩვენებითი დიდება, ხვალ არარაობად იქცეს!

რასაკვირველია, ამ ნაირ შემთხვევისაგან თავისუფალი დარჩებიან მხოლოდ ის დიდი სახელმწიფოები, სადაც სრული თანასწორობა და თავისუფლება აქვს მინიჭებული თითოეულს ერს.

—

**იაპონია,** გაზეთ „Westminster Gasette"-ის კორესპონდენტი შეეკითხა იაპონიის მთავარ-მინისტრს გრაფს იტოს, ჰსურს თუ არა იაპონიასო — მოითხოვოს დამარცხებულ იმპერიისაგან ჩინეთის ტერრიტორიის რომელიმე ნაწილიო?

„შესაძლებელი საქმეაო, დიპლომატიურად უპასუხა კორესპონდენტს გრაფ იტომ, მაგრამ, საზოგადოდ, ჩვენ არ გვინდა ახალის ქვეყნების შეძენაო. ჩვენ არ გვსურს ელზას-ლოტარინგია გავიჩინოთო. თავდაპირველად ჩვენ გვსურს, რომ ომის ხარჯი და ზარალი გვიზღონო."

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

გაზეთ Gil Blas"-ი იუწყება ფელიქს ფორი როგორ ატარებს დროს ელისეის სასახლეში. საფრანგეთის პრეზიდენტი დგება დილის 5 საათზედ და არა ისე გვიან, როგორც კარნო, გრევი და მისი მოადგილე კაზიმირ პერიე. ესენი 9—10 საათზედ დგებოდნენ. ადგომისათანავე, ზამთარ-ზაფხულობით ფორი იღებს აბანოს. სწრაფად იცვამს სხვის დაუხმარებლად და სამუშაო კაბინეტისკენ მიეშურება, სადაც მდივანთა დაუხმარებლად მუშაობს. ეს უკანასკნელნი რვის ნახევარზედ წარუდგენენ ხოლმე მოხსენებას. პრეზიდენტი სჭამს ზომიერად, სვამს თითო ჭიქას წითელს ღვინოს ბურგონისას ან ბორდოსას და მხოლოდ რომელიმე სადღესასწაულოზედ დალევს ხოლმე ერთს ბაკალს შამპანიურს. საუზმის შემდეგ თავისს სახლობასთან ერთად სეირნობს ელისეის სასახლის ბაღში და სიგარას ეწევა. სეირნობის დროს ხშირად ელაპარაკება ბაღის ზედამხედველს.

ნაშუადღევის ორ სამს საათზედ, თუ რამე ოფიციალური ცერემონია არ არის გამართული, ფორი ელისეის ბაღს სტოვებს და სამხედრო სახლისა ან სამოქალაქო კაბინეტის წარმომადგენელთან ერთად მისეირნობს ეტლით ან ფეხით. ფორი დადის წყნარად წინააღმდეგ კარნოსი, რომელსაც ისე ჩქარი სიარული უყვარდა, რის გამოც თურმე მოსვენება არ ჰქონდა მისს უფროსს მდივანს ლეფორტს. თუ სადმე ოფიციალური სადილი ან მიღება არ არის დანიშნული, ფორი ცოლშვილში ატარებს დროს და მუსიკაც ძალიან უყვარს. მისი ქალი ლიუსი ფორი მშვენიერი პიანინოს დამკვრელია. 11 საათზედ ფორი დასაძინებლად მიდის.

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

რომ არავინ თარგმნოს, ან დაბეჭდოს, გთხოვთ, გამოაცხადოთ:

ჩვენს სტამბებში, ოზურგეთში და ახალ-სენაკში, იბეჭდება შემდეგი წიგნები: 1, „მეჯლანუაშვილი"; „ეკატერინა ბატონიშვილი" (გურიელის ქალი), ისტორიული მოთხრობა; „ასის წლის შემდეგ", რომანი ბელლამისა; „ჩემი წყლით ექიმობა"—კნეიპპისა; „მარგარიტა გოტიე", რომანი ალექსანდრე დიუმასი და სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის შესასწავლად", ყუბანეიშვილისა. ზემოხსენებული წიგნები ზოგი იბეჭდება და მალე გამოვა *) გასასყიდად, ზოგი ნება დართულია და დასაბეჭდად და ზოგიც ითარგმნება ჩვენის თხოვნით.

კ. თავართქილაძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 მარტი.

**პეტერბურგი,** 9 მარტს. ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად ინე-

*) „სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის შესასწავლად" სამრევლო სკოლებისათვის არის მღ. ნ. ყუბანეიშვილი.

ბა წაეწერა მოსკოვის გუბერნატორის მოხსენებაზედ, შესახებ ერთგულისა და გონიერის მონაწილეობისა მოსკოვის მაზრის მართვლებისა საერო საქმეთათვის: „გულითად მოხარული ვარ“.

სარდალი მეოთხე კორპუსისა გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. კოსიჩი დაინიშნა კიევის სამხედრო ოლქის სარდლის თანაშემწედ.

**ბერლინი.** 8 მარტს. იმპერატორი წაბრძანდება 14 მარტს ფრიდრიხრუეს თავადის ბისმარკის სანახავად.

„National Zeitung“-ი ამბობს, რომ ჯერ კიდევ არ იციან ვინ იქნება დანიშნული რუსეთის ხელმწიფის წინაშე გერმანიის ელჩად.

შენკენშანცს, პრუსიისა და ჰოლანდიის საზღვრის ახლო დინამიტი გასკდა ერთს გემზედ. ამ ამბავს საშინელი უბედურება მოჰყვა: თითონ ის გემი დაინგრა, მეორე-კი დაიწვა. ამავე მიზეზის გამო ახლო სოფლებში სახლები დაინგრა. მახლობელ ქალაქებში და დაბებში ფანჯრების მინები ერთიანად დაიმსხვრა. დიდი ზარალი არის. 25 კაცი დაიღუპა.

1895 წლის 1 მარტს მომხდარ 2-ე შინაგან სესხის მომგებიან ბილეთების ხუთას მანეთიანი მოგება შემდეგს ბილეთებსა ჰხვდა:

| ნომრები სერიებისა. | ნომრები ბილეთებისა. | ნომრები სერიებისა. | ნომრები ბილეთებისა. |
|---|---|---|---|
| 00019 | 24 | 08272 | 41 |
| 00235 | 37 | 08509 | 24 |
| 00237 | 41 | 08661 | 50 |
| 00272 | 42 | 08962 | 25 |
| 00401 | 31 | 08968 | 18 |
| 00454 | 12 | 09013 | 8 |
| 00656 | 28 | 09048 | 8 |
| 01018 | 45 | 09133 | 15 |
| 01035 | 3 | 09218 | 49 |
| 01114 | 12 | 09282 | 44 |
| 01178 | 5 | 09293 | 11 |
| 01180 | 32 | 09293 | 42 |
| 01248 | 25 | 09520 | 2 |
| 01312 | 45 | 09597 | 43 |
| 01352 | 5 | 09680 | 11 |
| 01391 | 4 | 09853 | 6 |
| 01494 | 49 | 09853 | 35 |
| 01590 | 38 | 09930 | 12 |
| 01703 | 16 | 09957 | 25 |
| 02108 | 41 | 09976 | 42 |
| 02115 | 37 | 10094 | 33 |
| 02173 | 44 | 10096 | 25 |
| 02181 | 8 | 10108 | 40 |
| 02204 | 34 | 10199 | 16 |
| 02378 | 4 | 10294 | 35 |
| 02378 | 9 | 10300 | 24 |
| 02391 | 36 | 10391 | 6 |
| 02399 | 5 | 10444 | 25 |
| 02435 | 19 | 10537 | 22 |
| 02449 | 27 | 10682 | 30 |
| 02582 | 15 | 10689 | 5 |
| 02587 | 32 | 10862 | 27 |
| 02697 | 2 | 11237 | 22 |
| 02879 | 17 | 11302 | 49 |
| 02950 | 36 | 11369 | 40 |
| 03027 | 34 | 11517 | 31 |
| 03083 | 43 | 11617 | 31 |
| 03102 | 41 | 11662 | 15 |
| 03102 | 45 | 11671 | 22 |
| 03392 | 24 | 11673 | 1 |
| 03458 | 29 | 11873 | 11 |
| 03596 | 19 | 11878 | 18 |
| 03686 | 1 | 11911 | 27 |
| 03699 | 45 | 11963 | 22 |
| 03702 | 45 | 12203 | 15 |
| 03733 | 5 | 12326 | 33 |
| 03837 | 26 | 12355 | 23 |
| 03838 | 47 | 12373 | 47 |
| 03936 | 26 | 12420 | 26 |
| 04069 | 22 | 12551 | 32 |
| 04197 | 18 | 12616 | 22 |
| 04201 | 32 | 12703 | 4 |
| 04208 | 8 | 12773 | 40 |
| 04233 | 12 | 12882 | 37 |
| 04290 | 44 | 12887 | 36 |
| 04407 | 1 | 12921 | 11 |
| 04532 | 11 | 12945 | 15 |
| 04534 | 40 | 13018 | 25 |
| 04572 | 21 | 13258 | 10 |
| 04601 | 8 | 13565 | 36 |
| 04619 | 23 | 13596 | 4 |
| 04620 | 48 | 13642 | 21 |
| 04641 | 43 | 13647 | 24 |
| 04888 | 43 | 13651 | 1 |
| 05281 | 42 | 13658 | 36 |
| 05327 | 24 | 13680 | 42 |
| 05402 | 22 | 13762 | 37 |
| 05815 | 7 | 13792 | 11 |
| 05861 | 42 | 13860 | 33 |
| 05918 | 23 | 13904 | 49 |
| 05969 | 45 | 13923 | 5 |
| 06027 | 7 | 13925 | 20 |
| 06049 | 2 | 13993 | 15 |
| 06117 | 2 | 14084 | 41 |
| 06141 | 15 | 14198 | 41 |
| 06187 | 42 | 14290 | 23 |
| 06281 | 17 | 14298 | 16 |
| 06286 | 1 | 14328 | 7 |
| 06345 | 8 | 14345 | 32 |
| 06458 | 22 | 14357 | 31 |
| 06503 | 20 | 14410 | 6 |
| 06613 | 17 | 14410 | 15 |
| 06709 | 29 | 14417 | 21 |
| 06729 | 6 | 14417 | 45 |
| 06898 | 48 | 14475 | 5 |
| 07007 | 43 | 14614 | 40 |
| 07015 | 10 | 14679 | 19 |
| 07169 | 10 | 14686 | 12 |
| 07213 | 8 | 14850 | 32 |
| 07287 | 34 | 14855 | 20 |
| 07401 | 23 | 15058 | 28 |
| 07477 | 26 | 15086 | 9 |
| 07513 | 28 | 15152 | 8 |
| 07761 | 42 | 15165 | 25 |
| 07902 | 38 | 15192 | 19 |
| 07911 | 42 | 15329 | 4 |
| 07944 | 28 | 15345 | 50 |
| 07959 | 9 | 15364 | 40 |
| 07978 | 17 | 15385 | 43 |
| 08021 | 31 | 15549 | 5 |
| 08077 | 42 | 15603 | 23 |
| 08130 | 11 | 15736 | 48 |
| 08216 | 4 | 15752 | 11 |
| 08242 | 14 | 15765 | 13 |
| 15769 | 30 | 17701 | 39 |
| 15886 | 42 | 17713 | 41 |
| 15936 | 16 | 17725 | 37 |
| 15989 | 38 | 17954 | 50 |
| 16090 | 49 | 18105 | 11 |
| 16265 | 11 | 18229 | 35 |
| 16356 | 49 | 18286 | 1 |
| 16484 | 47 | 18287 | 25 |
| 16519 | 17 | 18385 | 41 |
| 15552 | 18 | 18461 | 48 |
| 16601 | 8 | 18479 | 18 |
| 16609 | 41 | 18568 | 6 |
| 16627 | 40 | 18701 | 21 |
| 16801 | 41 | 18722 | 4 |
| 16826 | 42 | 18752 | 19 |
| 16917 | 50 | 18781 | 43 |
| 16995 | 11 | 18845 | 48 |
| 17091 | 27 | 18847 | 18 |
| 17270 | 46 | 18878 | 32 |
| 17278 | 13 | 19205 | 48 |
| 17380 | 29 | 19350 | 14 |
| 17401 | 46 | 19368 | 47 |
| 17540 | 37 | 19523 | 16 |
| 17622 | 24 | 19577 | 26 |
| 17649 | 9 | 19626 | 32 |
| 17696 | 11 | 19826 | 25 |
| 17700 | 4 | 19973 | 47 |

ნუსხა 1866 წლის 5% 2-ე შინაგან მომგებიან სესხის იმ ბილეთების სერიებისა, რომელნიც ტირაჟით გაუქმებულ იქმნა სახელმწიფო ბანკის საბჭოს მიერ ამა 1895 წლის 1 მარტს.

სერიების № №-ბი.

თითოეული ქვემოდ მოყვანილი სერია 50 ბილეთს შეიცავს, № 1-დგან დაწყებული ვიდრე 50 №-დე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 00072 | 00260 | 00392 | 00850 | 01325 |
| 01719 | 01839 | 02452 | 03134 | 03211 |
| 03466 | 04327 | 04394 | 04849 | 04919 |
| 05305 | 05460 | 05559 | 05725 | 05959 |
| 06021 | 06090 | 06318 | 06464 | 06604 |
| 06667 | 06724 | 06823 | 0701[illegible] | 07111 |
| 07501 | 07601 | 07662 | 07723 | 07748 |
| 08495 | 08815 | 08935 | 09247 | 09394 |
| 09463 | 09534 | 09574 | 09644 | 09773 |
| 10019 | 10041 | 10178 | 10316 | 10958 |
| 10965 | 11102 | 11145 | 11210 | 11434 |
| 11517 | 11622 | 11943 | 12021 | 12125 |
| 12167 | 12765 | 12809 | 13204 | 13241 |
| 14016 | 14178 | 14250 | 14547 | 15238 |
| 15301 | 15381 | 15565 | 15691 | 15882 |
| 15903 | 16087 | 16155 | 16377 | 16440 |
| 16529 | 16543 | 16609 | 16620 | 16866 |
| 17009 | 17256 | 17498 | 17913 | 17941 |
| 18123 | 18153 | 18222 | 18371 | 18627 |
| 18757 | 18806 | 19062 | 19164 | 19268 |
| 19292 | 19327 | 19355 | 19501 | 19749 |
| 19877 | | | | |

პეტერბურგის ბირჟა, 17 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,42 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | 213 „ | — „ | |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | | — „ | 101⅝ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99 | — „ | |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | | — „ | 99¼ |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი**. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში

**ქართული ხორო**

არტისტ ი. ი. რატილის ლოტბარობათ კვირას, 12 მარტს გაჰმართავს

## კონცერტს

ორ განყოფილებად. ხორო შეასრულებს სრულებით ახალს ხმებს საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში შეკრებილს. მესამე განყოფილებად იქნება წარმოდგენილი ერთ-მოქმედებიანი კომედია

აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქნი საფაროვ-აბაშიძისა და ბ-ნნი: ვ. აბაშიძე ლ გედევანიშვილი.

დასაწყისი 8½ საათზედ

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

(3—1)

დაიბეჭდა და იყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების გამომცემლობის ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში,

## საქართველოს ისტორია

შემუშავებული და შევსებული

მისი გ. ჯანაშვილის მიერ.

მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა

ფასი 70 კაპ.

მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთ. გუბერნიაში.

ამით აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს რაიმე საქმე იქონიოს ამხანაგობასთან: ამხანაგად ჩაეწეროს, ბარათი მიიღოს, ჭიის თესლი იყიდოს და სხვა, უნდა მიჰმართოს ხონში ან ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიას, ან სოფ. კუხში, აქაურს ბანკს. ამხანაგობა ჰყიდის ერთს კოლოფ თესლს (7 მისხალს) სამ მანეთად. ამხანაგებს, აგრეთვე მას, ვინც ნაღდ ფულზედ ერთად ათს კოლოფს იყიდის, უფრო იაფად დაეთმობათ. კოლოფებს ამხანაგობის ბეჭედი აქვს დაკრული.

მმართველი ამხან. ნ. წერეთელი.

(—1090—1)

გაიხსნა **ახალი** წიგნის მაღაზია ქ. ტფილისში, მიხეილის ქუჩა, № 97.

ისყიდება ყოველგვარი საყმაწვილო და სახალხო წიგნები რუსულს ენაზედ („პოსრედნიკისა“ და სხვ.) წიგნების ფასი—ორი კაპეიკიდგან. მაღაზია კისრულობს იაფ-ფასიან ბიბლიოთეკების შედგენას (არის ერთ-მანეთიანიც). გამოწერა შეიძლება ფასდებული ამანათითაც (наложеннымъ платежемъ). უ.

„ქართველ არტისტების ამხანაგობის ორი წარმოდგენა, რომლებიც დანიშნული იყო ოთხშაბათს, 8 მარტს ლ პარასკევს, 10 მარტს, მთავრობის განკარგულებით გადა[illegible] იქმნა: პირველი—ოთხშაბათს, 15 მარტისათვის, და მეორე—პარასკევს, 17 მარტისათვის. ბილეთები, რომელიც ნაყიდია ამ ორის წარმოდგენისა, თავისს ძალას არა ჰკარგავს.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

(3—უ—2)

მოსამზადებელი სასწავლებელი

## ი. პ. როსტომაშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.

ფასი სწავლისა 6 მანეთი თვეში.

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე.

სასწავლებელი იმყოფება სალდათის ქუჩაზედ, ივანე ენიკოლოფოვის სახლებში, № 7. ფოსტის ცხენების სადგურის პირდაპირ: противъ Разгонной станціи. უ.

მსურს ვიყიდო მამული შუათანა ზომისა. ვსთხოვთ მამულის გამყიდველებს თავისი პირობები „ივერიის“ რედაქციაში წარმოადგინონ.

(3—1004—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| მარიაჩი . . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 60 |


Дозвено цензурою, Тифлисъ 9-го Марта 1895 г.    სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე